საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 28

ქ. თბილისი

24/02/2014

მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 14 აგვისტოს №8/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე–3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 500 (ხუთასი) ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 1000 (ათასი) ფურცლამდე.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე საჯარო ინფორმაციას გასცემს მხოლოდ სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის (რაც დადასტურებული უნდა იყოს სათანადო ცნობით) მქონე პირზე, მისი შუამდგომლობის საფუძველზე.

3. განისაზღვროს დეპარტამენტის მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 20 (ოცი) ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 20 (ოცი) ფურცლამდე.

4. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ წლის განმავლობაში ერთჯერადად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ოდენობა აღემატება ამ ბრძანების მე–3 პუნქტით განსაზღვრულ ოდენობას, მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი გასცემს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

დამადასტურებელი ქვითრის დეპარტამენტში წარმოდგენის შემდეგ, გარდა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. გარდა ამ ბრძანებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესაბამის ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დეპარტამენტში წარმოდგენის შემდეგ.

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ვაჟა ფანჩულიძემ.

ნუგზარ გასვიანი

დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

.